



საგანმანათლებლო პროგრამების  
აკრედიტაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 276

2011 წ. " 11 " 11

ქ. თბილისი

შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო  
პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ

შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მიერ თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2011 წლის 11 ნოემბრის სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.
2. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2011 წლის 11 ნოემბრის №10 სხდომის ოქმის მეთვრამეტე ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე  
ნინო ხოფერია

მდივანი  
დიმიტრი ალავეძე

